საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 9 თებერვლის =75 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015 წლის 9 თებერვლის =75** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი „რადიაციული უსაფრთხოების პროექტების მენეჯმენტის ცენტრის“ გაუქმების შესახებ.

სენატმა დაადგინა: გაუქმდეს „რადიაციული უსაფრთხოების პროექტების მენეჯმენტის ცენტრი“.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 9 თებერვლის =75 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015 წლის 9 თებერვლის =75** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი პროექტისთვის „თესლის დაბალსიხშირულ მაგნიტურ ველში დამამუშავებელი მოწყობილობის შექმნა-დამზადება“ თანხის გამოყოფის შესახებ.

სენატმა დაადგინა: ზემოაღნიშნული პროექტის დასრულებისათვის გამოყოფილ იქნეს 2 563 ლარი 2015 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, კერძოდ ადმინისტრაციის ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 9 თებერვლის =75 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015 წლის 9 თებერვლის =75** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებები, კერძოდ: არაფინანსური აქტივების მუხლიდან 9 150 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების პუნქტში; 150 ლარი გადატანილ იქნეს საფოსტო მომსახურების ხარჯების მუხლში; 5 700 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; ასევე, სამეცნიერო ხარჯებიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **9** თებერვლის **=75** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **9** თებერვლის **=75** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი პორტუგალიის „ესპინოს უმაღლეს ინსტიტუტსა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის №544191 გაფორმებული ხელშეკრულების „**Tempus**”-ის პროექტის თანადაფინანსების შესახებ.

სენატმა დაადგინა: პორტუგალიის „ესპინოს უმაღლეს ინსტიტუტსა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის №544191 გაფორმებული ხელშეკრულების „**Tempus**”-ის პროექტის თანადაფინანსებისათვის გამოიყოს 3 031 ლარი 2015 წლის ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან და ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ადმინისტრაციის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე